

სატრეპი

№ 4. 1914 წ. იუმორისტ. ჟურნალი

„სინათლე“
ი. გუბუკანიშვილისა

4 რ. 08
11 03.



„ემბაუნის ხორბო“ (იხ. მე-2 გვ.)

კ. მ. ყიფიანი

ეშმაკების სორო

ჩვენა დიდებუ სელოფნების, ჩვენა ზეტოროს,
უშირველეს დრამატურკო, ლიტერატოროს!

შენა ხარ ჩვენა სალოტაჟი; სადმერთებელი,
სინათლის მფენი, — უგუნეთის გამხანებელი.

შენ შეაუვარე ქართველ სალსა თაქრა, სტენა,
(შენის წყალობით ჩვენც გვედარსა ცოცა მალსენა.)

შენ გამაძლე ჩვენი გუნდა, შევამ მშვერება,
და გამოტყე ცარაელი კასის სკავრება;

მთელ ამ სეზონში გვაუთინე სულ ერთი როლი
(მხოლოდ კნაიელი კატასაჟით, მეტად იოლი).

შენა ხარ ჩვენი სალოტაჟი, ჩვენი დალება..

თუ ბილეტუბი სულ წინაღწინ გააუილება

სხვა ზაესება ვითამაშით რათ გუნდა ჩვენა?!

მთელ ამ სეზონში გვაგერძელეთ ეს წარმადგენა.

მათრახოსანი.

ჩემი ვეღრება.

ბუნებაგ შენი შვილი ვარ

მიიღე ჩემი მუდარა,

წამოეშველე საწყლ ხალხს

სხვებმა გაუკრა სუდარა...

ფულის წყალობით მდიდრებსა

კარგა ხნით გამოუდარა...

და მუშაჟ ხალხსა, ბუნებაგ,

ნუ თუ სულ არა უნდა-რა?!..

ნუ თუ ბედკრულებს არგუნეს

რომ ზედრის მუდამ ტლაპოსა

და მათი ოფლით ნაშოვნი

სხვამ არხინათ ყლაპოსა?..

ნუ თუ სულ უნდა ილხინონ

მუქთა მქამელა-მსმელებმა

და მათი ოხერ მუცლისთვის

იზრუნოს სხვისმა ხელებმა!..

მუშამ როდემდის იცოცხლოს

ამ გატანჯული ცხოვრებით?.

ნუ თუ ის კმარა, ხუცებმა

დაანუგეშონ ცხოვრებით.

ბუნებაგ, შენი შვილი ვარ

მიიღე ჩემი ვედრება

მას მოეხ არე, ვინც შრომით

მხოლოდ პირუტყვსა-და ედრება.

ჩარჩებს და ლოქაჟ-დამქაშებს

დაუჭიანე გულგობი,

და ააყვავე ვარდის ფრად

აქამდე დაჩაგრულები.

იონა თლუღელი.

ანუ დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ.

ანუ დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ.

(სიტყვები დალაგებულია „სას, გაზ.“ აღფიკით)

ნ. შიუკაშვილი: „შეუწყნარებელი სიმხეცეა, როდესაც მომწიფებულ ქალს უკრძალავენ ორსულობას. 20 წლის ქალს თუ ქმარი არა, შვილი მაინც უნდა ჰყვანდეს. მაგრამ ბოხის ხმით ნუ ილაპარაკებს, განიერად ნუ აღაჯუნებს და სათვალეობით ცხვირს ნუ დაიმახინჯებს. ამას გვასწავლის სწავლა-განათლება და ეს კარგი რამ არის.

ი. გრიშაშვილი: ქალი არასოდეს არ უნდა გათხოვდეს, რადგან დღევანდელ ყაწვილებს ესაქიროება მრავალთაგან აღერსი და ხვეწნა-კოცნა. ქმრები კი ცოლებს ნებას არ აძლევენ სხვებს ეკურკურონ! თუ მანდამაინც გათხოვდებიან — დაზარდონ ცუდლუტი ვაჟები და ატეხილი ქალიშვილები, რომ ახალთაობას ქვეშ დაეგონ ზალიჩათ.

კ. მახაშვილი: ქალმა ტანჯვას და სიკვდილს პირველმა ანაცვალა ედემის მყუდრო უკვდავება. მან პირველმა გაჰპედა აკრძალული ხილის ქამა და ჩვენც გვასწავლა მისკენ გზა, რამაც რამდენად დავგატბო იმდენათ დავგუშამა. ისევ ქალმა უნდა გამოაბრუნოს ამ გზაზედ მიმავალი დაცეული კაცობრიობა.

სილოვანი. ქალი ძლიერი ანდამატია ვაჟის გულისა და სულის შესაქანელოთ. ქალისაგან ცეცხლით აგზნებული — სათანას ვებრძვი, ჯოჯოხეთს ვიმორჩილებ, მაგრამ ხშირად სამოთხესაც დანგრევის უქადი. ამ ბოროტების თავიდან აცილება ნამდვილ ქართველ დედას შეუძლია.

ი. გომართელი: ქალი უღვიძებს მამაკაცს გრძნობასა და მისწრაფებას კეთილის და მშვენიერებისაკენ; კაცობრიობის გამრავლება უქალოდ შეუძლებელია.

ქართველმა ქალებმა უნდა გამოიხონ რაიმე გზა, რომ ქართველი თავადები ჩვენს ხალხს არ უკარგავდნენ საქართველოს მიწა-წყალს, თორემ ქართველის მაგივრად უცხოელი გამრავლდება ჩვენს კუთხეში.

აკაკი: ღმერთმა რომ პირველი კაცი ადამი გააჩინა, მას (ადამს) ზევრი ნაკლი აღმოაჩნდა და რომ ეს ნაკლი უფრო შეეწო, გააჩინა ქალი და ამოუყენა გვერდში. მრწამს, რომ დღევანდელ მომაცვადვ საქართველოს ქალები გადმოაბრუნებენ.

კვირხილა.

პატარა ფეკეტონი

კვირბანცია.

მივიღე გლეხებ ვიორგაძეებისაგან ასი მანეთი.

თავადი ვარლამ ლ. გელოვანი.

კიტამ სთქვა: „ეხლა რალა ვქნა, სად გავაქყირო თვალიო,

„ქურში არ იყო ძმარო შიგ გაურჩეს წყალიო.“ მე, თუმც სამშობლოს წინაშე მოვიხადევი ვალიო, (რას ვიფიქრებდი, ამისთვის მომედებოდა ალიო), რადგან დღეში გავგზავნე მე ვარლამ გელოვანიო. მომხრე არა ვარ დუმილის, ამასთან მისი აზრისა, ისეთსა რამეს ჩაიდენს მომგვრელი იყოს ბრაზისა. რაც მე მას საქმე უყავი ძმა არ უზამდა ძმასაო, მოფინე ია და ვარდი მე იმის საველე გზასაო. ყველა დავტუქსე, თუ ვინმე იტყოდა იმის აესაო, დღეს ყველა გამიტილდა, ვაიმე ამის თქმასაო.“

შინაურმა სთქვა: „რალა ვქნა, არ ვიჯერებდი ამასა,

ჩვენ დასაკლავად ვარლამი თვითონვე ლესავს დანასა. არ შეგვიცოდა არავინ ავგვიდა ხათაბალასა, რათ მისცა იგი ბარათი, ვინ დაატანდა ძალასა. ღირსი არ არის იქ იყვეს, აქ უნდა მკიდეს ჩალასა, ან უნდა მწყესდეს საქონელს—მთა მინდორსა და ქალასა.

სულ ყველა „მამულიშვილებს“ ქვალი გაუჩნდათ ხველითა, აფრინეს წიგი პეტერბურგს თავისი კაცის ხელითა. მისწერეს „თავადო, ვარლამ, ცეცხლი ჩაგვიქრა კერასა! სულ ვტირით, თავადი არ შრება, ველარ ვახერხებთ მღერასა. (ჯერ არ გვაქვს „ავტონომია“, ის გვმატებს გულის ძგერასა). ეს რალა იყო გეთაყვა, ღმერთი დასწყევლის და-სელსო, სად გამოძებნეს ავსულთა—(კიტა თვალს ველარ ახელსო). იქ დასელთ გუნდი იცინის, ცრემლი გვდის ამის მანხველსო, დღეს შენი ამომჩეველები შენს სახელს ველარ ამხელსო. თავი იმართლე, თავადო, როგორც წესი და ვალია, მოქორე რამე მაინცა მტერს დაუბნიე კვლია. იცოდე პასუხს მოველით მოუთმენელად ჩქარაო. არ გავგივიდა თორემა არ დავგიშურავს ფარაო. ეხლა ჩვენ „სიტყვას“ შევთხოვეთ დასწყევლოს დასელთ კვლია, უბრძანოს ყველას გაჩუმდენ, რადგან იმათი ბრალაა.

ჩვენ სხვა გზით, დავფაცურდებით გულს ნუ გაიტებით, თავადო, ვიცით ამ საქმეს გავიტანთ, ან კარგად, ანუ ავადო.“

სიტყვამ მისწერა სულყველას: „ნუ ამოდრავებთ ენასო,

ვარლამზე წერა მსჯელობა ეჩოთირება სმენასო. ბევრათ სჯობია გაჩერდეთ მტრის წინააღმდეგ წერასო, თორემ დასწერენ ვარესსა, ამიტებს გულის ძგერასო. ვერ გადავიტან კი ვიცო, მე ამ შემთხვევა-წყენასო, ჯერეთ სანამ ვარ ცოცხალი მშვიდობას შევთხოვ ზენასო. ეხლავ უბრძანეთ თვედორეს ნუ ალაქლაქებს ენასო. ცოტა ხანს მაინც გაჩუმდეს არ არს საქირო ქებაო, მგონია სანდოც არ არის, გუშინ სხვა თავი ებაო. დღეს თუ ჩვენ გველაქუცება ფეხებს გვილოკავს, ხელებსო, თუ არ გამოძდა, იცოდეთ ხვალ სხვაგან დაახველებსო. ეგება ზვერავს ბანასა, ნუ მიენდობით გულითო (მახინჯის კუზი, ხომ იცით არ მოიქრება ცულითო.) მაგისი მუცლის ტკივილი... მოხიბლულია ფულითო. რწმენა-აზრსა ცვლილს ვჩვარივით, ლატაკი არის სულითო. ასეა ჩემო შვილებო, თქვენი შემწეა ღმერთო, სინილა გაწყედს დასელის, რომ აღარ იქნეს ერთიო. მაშინ კი აუღელვებლად დაგლოცავთ, როგორც წესია ამობრწყინდება ჩვენი მზე, მოგვევლინება მესსია.“

ტყეშელაშვილმა რა ნახა — სთქვა: „კიდევ დაე-წერ დანოსსო,

სოციალ-დემოკრატებმა ბევრიც რომ იქაქანოსო. მაგრამ ერთი კი მაწუხებს, ზურგს მაქცევს მთელი პარტია, დასწყევლოს ღმერთმა, ეს ხალხი იცვლება როგორც მარტია. როცა საქირო ვიყავი ყველა მე მწივედა კალთასა, დღეს უბედური რას ვხედავ — გარბიან ალთა-ბალო-თასა! საქვეყნოთ გამოაცხადეს. ჩვენ მას ვერ ვიცნობთ წვერადო, არ დამეწერა დანოსი, თურმე მერჩია ბევრადო. სწორეთ ჩემზეა ნათქვამი: “შევდევ დიაკვნად-ბერადო, ყველგან დავმარცხდი რადგანაც ვივარგე ვერაფერადო“. მაგრამა მამულიშვილთა“ ქადები კარგა ცხვებაო, ზოგს ხდება დიდი ნაქერი, ზოგი ბანკებში ღებებაო. დასელებს, იმათ მოქიშვით შიმშილით სული ხდებ-ბაო“.

კვირიკემ კაცი გაგზავნა რაქა-ლეჩხუმში ცხენითა, ავალტებს—კი არ იაროს უნდა მივიდეს ფრენითა.

მისწერა: „მამულიშვილებს“ კირი დაგვეროთო კირ-ზეო,

თქვნი კირიმეთ შემოკრბით საერთო გასაქირზეო.
ფრუიძეს გააგებით ბატონის გასაქირია,
თუ რამე იცის გვიშველოს, ჩვენ მოხმარება გვეკირია.
მე კერძოთ გწირავთ სიცოცხლეს და ამ ჩემს გაზეთს
„ერსაო,“

ეროვნულ დროშა-ალაშსა მიუმატებდეს ფერაო.
წინათაც გითხარო „სახალხო“ ხმასაც არ იღებს ამაზე,
არც მოუწოდებს ქუღზე კაცს არც ხელი უდევს ყამაზე!
ასრულებს ქადაგის სურვილს იშიშვის იმის წყენასა
და ამისათვის სულყველა კბილებს აქერენ ენასა.
ჩუმ-ჩუმათ დაფარფატებენ, ვით ბნელ ღამეში ღამურა
წყველა და კრულვას უთვლიან ვინაც ვარლამი გა-
მურა“.

ლამი-ვარ.



მე მონათ შევემნიშვნე არ ეთისა მშისა
იგი ჩემსთვის კვლევა რქ მე მისთვისა...
შხანკოლა

მეგობარს.

(უძღვნი ბორბოშას).

მეგობარო! ფთხილათ, შესდევ,
მოერიდე ამ შავს მხარეს,
შესდევ თავი მიაბრუნე,
ნუ ენდობი ზღვის სიწყნარეს.

გზას თუ უქვერეტ საილოოს,
აქ ვერ ჰპოვო ფსკერი კიდე
თუ განცხრომას დაეძებდე
ამ გზას აცდი, მოერიდე.

ჯერ ვერ ნახავ აქ სამოთხეს
გაზეფხულის ვარდ ყვავილებს,
ვერ იხილავ დამტკბარ დილას,
ნორჩ მდელოზე ვერცხლის ბძივებს.

სიცოცხლის მზე ვერ გაგათბობს,
მოგარიდებს მთვარე სხივებს,
გაზეფხული სახმილს მოგდებს
და ზაფხული გაგაციებს!..

ნუ უტკვერი ზღვის ზედა პირს
ძირში ქუხს და გულში ღელავს,
ერთხელც არის გაჰკრავს ელვა,
და გრივალი დაუბერავს.

თუ გმირი ხარ აი ზვირთებს
გაჰკვეთ გაზეფალ აღთქმულს მხარეს,
იქ ჩაგიხვეს მზის ასული
დაგავიწყებს სიმწუხარეს.

ან უფსკრულში ჩაგთქავს უკვლოთ
დაგიბნელებს მზე და მთვარეს,
სამოთხის გზას გაგიხლართავს
ჯოჯოხეთში ჩაგატარებს.

დაბრუნდი, ან დაჰკარ ნიჩაბს,
გაჰკვეთე გზა, არ შეგუბო
და შენ ნაფთან აჰა ჩემიც
დღეს უსაჯო სევდის კუბო.

შხანკოლა.

რ ა ტ მ ა ?

(რუსულიდან)

რატომაა?.. როს ფანჯრიდან
ვიხედები გარეთ ოდეს,
მე გამვლელებს ბევრსა ვხედავ,
აღამიანს - ვერასოდეს!

რატომაა?.. სიმართლის ხმით
ბორბოტება გსურს სპო ოდეს,
ბევრს იშოვნენ ნაცნობებსა,
მეგობარს კი - ვერასოდეს.

ვინმე ჭანი.



— მეგობარო! აი, აქ გადავიდეთ ფანჯრიდან, ოთახში არავინ არ არის. იქნებ რამე საკბილო ავატყულოთ.

— დასწყევლოს ღმერთმა, ტყვილად დავდევ მთელი დღე მანე პირები მეგონა, ესენი კი საიმედოანი ყოფილან.

ღ ი ღ ი ნ ი

(ნავთლულელებს.)

რა ხან დავიწყებ ღიღინი, არავის მოვერიდები, შევამკობ ყველას ღირსადა ვინც კია ჩვენში ფლიდები; გინდ იყოს კაცი ღარიბი, გინდა ქალაქის ღიღინი, არ შევჩერებ ღიღინსა არც არვის შევესყიდები.

გინდ იყოს მართლა ჩემი ძმაც გინდა ქალაქის თავია, თითით ვანიშნებ რომელსაც ლაქა უბოვნე შევია; ვკითხვებ ნავთლულის მიწების შესახებ რა ანბავია? ველარა ვხედავთ მის მთქმელსა რა ძვირი სანახავია! ხომ თვითონ ბრძანა უწყებას მიიღებთ ეხლა მალეო, ღიღ ხანს არ გასტანს შვილებო, სუყველას გენაცვალეო;

რამდენიც გასურდეს ღარიბნო იმდენი მიიფიქვალეო და როცა ვკითხვავთ ამბავსა: რა გქნა ვერ მოვიცალეო! ღიღით მივიღივარ ჩემს დროზე თერთმეტ საათზედ გვიანათ,

დავჯდები ჩემსა ალაგზედ, დარბაისურათ კვიანათ; ხელში გაზეთსა ავიღებ, ერთს ჩავახველებ ხშიანათ, მერე ჩაისა მივირთმევ პეროჩენებით და რძიანათ.

ჩაის სმის შემდეგ ვფიქრდები: ნავთლულის მიწებს რა უყო, მღიღრები ნალდს იძლევიან ღარიბებს როგორ გაუყო!

იქ რომ ღარიბნი დასახლდენ თუ გინდა კიდევ გზა უყო, უნივერსიტეტს ვით ვკადრო იმათში თავი ჩაუყო!

მისთვის ვაშენებ მე იქა ჩემთვის არს დასაკვებო, ღარიბის შვილი ვერ შევა და არც შევდგამის ფეხიო. უნდა როგორმე ვილონო და მოვიხმარო ხერხიო, ჩემოვიშორო თავიდან სუსტი ღარიბი გლეხიო.

აბა ვინ მისცა ღარიბსა იქ დასახარჯი ფულიო, რომ ააშენოს შენობა ღიღი და ცხრა სართულიო: ნავთი არ დასწოს, საბადლოთ იხმაროს „ელექტროლიო“, იმათ ჩაყრილმა ქოხებმა უნდა აწყალოს გულიო.

ვეტყვი ღარიბებს; ბლანკები აღარ შევიდა ძალაში, დღეიდგან კრება გვექნება მაგის შესახებ ზალოში. ამას ვერავინ გამიგებს „მათრახში“, „ხათაბალაში“ კიდევ გავიყვან განძობავს ყველას გავახვევ ჩალაში.

მაგრამ თუ ესმა ეს ვისმე მართლისა მთქმელ კალომოსანსა, ანუ მელექსე მწერალსა, ანუ ღიღებულ მგოსანსა. მაშინვე იგი გადამცემს სასტიკსა „მათრახოსანსა“ პირზედ წამისვამს ან მურსა, ანუ საღებავ სოსანსა. ან. განჯინ-კარელი.

ამონაქმნისი.

მძინარე ვარ თუ მღვიძარე, თვალზე მიდგას შენი სახე, რა გინდა იმას შემდეგ მოსვენება ვეღარ ვნახე;

ვერ გავფანტე — სევდა, და' დი
 და გულს მიკლავს სივალახე...:
 (თუ გიყვარვარ, რისთვისა მკლავ,
 თუ მომიკლავდი—რისთვის მნახე!)
 გამაგონე რამ პასუხი—
 გინდა ტკბილი, გინდა მკვახე,
 იქნებ ამით—დატანჯულმა
 მოვისვენო ერთიცახე...

დარდიანიძე.

ორი ექმაკი

(ახალი წლის ჭიათურის სტუმრები*)

პირველი—ჯოჯოხეთელო! ეს რას გავს განა,
 ლამის სამოთხეთ იქცა ქვეყანა!
 ყოველგან ლხინი, ხვეენა და ლხენა
 ნუთუ გავვიწყრა ეშმაკებს ზენა?!

მეორე—არ მივიკრს კაცო, ეგ შიში შენი
 ეხლა იცანი ადამის ძენი!
 ახალი წელი, დღესასწაული,
 კპილები თეთრი და შავი გული?!

პირველი—ხო, მართალა, მახსოვს შარშანც ილხე-
 ნდენ,

ახალს ეტრფოდენ, ძველს აგინებდენ,
 მარა, ისიცა ხომ დარჩა ჩენი,
 ამ წელსაც ისე მოგვეცემს გამჩენი.

მეორე—რა სათქმელია. წელს აქ დავრჩებით,
 საჯოჯოხეთო საქმეს ვეცდებით,

პირველი—სად? აქ უცხო ვარ! შენ იცი განა,
 ეშმაკს შეიტკობს მაი ქვეყანა?

მეორე—კაცო, რა აქა? ჭიათურაა
 აქ ანგელოზი ვისი ტურაა!
 შენ ჯერე აქა ნახე ჯურღმული,
 შიგ როგორ წვალაბს, რეთი სულდგმული
 მალა ამოხვალ, ქვეყანა შავი,
 აგერ მდიდრები სისხლის მწუწნავი,
 ზდანოვს ვფიცავ და კიტა დიდსა
 ჯოჯოხეთამდე გავიდგამთ ხილსა.

პირველი—რას ამბობ კაცო რა გამახარე
 ვინმე ნაცნობი გყავს, ან მოყვარე?
 რომ დავბინავდეთ მასთან დროებით
 და ვისრგებლოთ გარემოებით?

მეორე—მაგას რას ამბობ, აქ იაშვილი
 ჩემს მკლავზედ არის თლათ გამოზდილი,
 პატარა ტანის, არა ხნიერი,
 ზნეობით კოტრი, საქმით ცბიერი!
 სულ მდაბლია, ჭკუით ძაბუნი,
 იცის ქენტერი თავის ძაგუნნი!..

* ახ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა.
 „მათრ.“ რედაქცია.

ჩხიკვია რალა გაყვითლებული,
 ბალნიცაშია აქ მიღებული,
 ხერელში დაძვრება, როგორც ხელიკია!
 აქ სმოტრიტელის პომოშნიკია!
 ქინკაა რალა, მამისა მზემა
 ერთი გენახა ტულუშს რომ სცემა,
 აბა აქ ქალი იყო საწყალი
 მისგან მტირალი ქონდა სულ თვალი.
 აქ მსახურებიც ეხლა ვინც არი,
 მის გამო სდიან თვალთაგან ლვარი!..

პირველი—კაცო რას ამბობ, ლამის გავვიჟდე,
 ოხ მოვესწრობი სულ მაზედ ვაჯდე?
 მოვსცხებ და მოვსცხებ მათრახებს ფერდზე!
 ვერ ვინ გაუგო მერე ჩვენ ბედზე?

მეორე—ოხ, როგორ არა, გაიგეს ყველა,
 ვითომ პასუხიც სთხოვეს ერთხელა,
 მარა დაეთმო სულ ყველაფერი,
 რადგან კიტისტობს, არის ესფერი.

პირველი—მაშ ჯაფარიძეც თუ მას უდგება
 საჯოჯოხეთოდ გამოგვადგება?

მეორე—გამოგვადგება და მეტი არა?
 ეხლა სიეზღშიც „ისქნეს“ პატარა,
 მათ ჯამაგირით გული იხარეს,
 ფერშლებს მსახურებს გამოაპარეს.

პირველი—ეტა ნიჩეო, ჩვენ აქ დავრჩებით,
 აქ ყველას ავრევთ იმდენს ვეცდებით!
 ჩვენ იაშვილსა, მის ამქარ მლილებს
 სულ გაუსწორებთ ცხვირსა და კბილებს.

ორივე ერთათ. (გახარებული მღერიან)
 ვნახეთ ვნახეთ, ო რა ვნახეთ,
 რა ყოფილა ჭიათურა;
 მალაროში ტახტსა დაეღვამთ,
 სულ ვიძახებთ ურა-ურა!
 ხან იაშვილს შევაჯდებით,
 და გადავალთ მალაყურა,
 ჩაიგოგით ჩაგვატარებს,
 გაიძვერა მელა-ტურა.

დამსწრის ბანი: —

იაშვილო! ეს იქმარე
 თუ რომ არ ხარ მთლათ დიდყურა,
 თორემ მოგიკვდეს დამწერი
 გვერდი თუ არ შეგიხურა.

ცხვირ-საკრავი.

კ. ძაბუღაიშვილის წერილი

(იხ. „მათრახი“ № 3).

წინად მოგახსენეთ, რომ ქორიკანობას სოფე-
 ლში დიდი ალაგი უჭირავს და როგორც ასეთი,
 ქორი ადვილი გასაგრცყლებელი არის. ასეც მოხდა.
 ქელიძის მიერ დათიკოს მოწამელის შესახებ თქმუ-

ლება ელვის სისწრაფით მოელო მთელ ქვეყანას და რადგან დათიკო გახდა მსხვერპლი ორიოდ მისი მოწინააღმდეგის, რომელთაც თუ ის არ ყოფილიყო აღწერილ მდგომარეობაში, არ შეეძლოთ მისი აღვილად დამორჩილება, (დათიკო შავარდნაძე თვალსაჩინო ვაჟაკი იყო) თანაც სიმთვრალე მის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენა იყო, ხალხი დარწმუნდა თქმულის სიმართლეში და თავისი გულის წყრომა მისებურ ლექსში გადმოანთხია. ზოგიერთებს გარდა, არავის არ მოსვლია აზრად შეემოწმებია სიმართლე ყოველივე თქმულისა. ბევრი ვეცადე, ამხანაგებთან ერთად, აღმედგინა სიმართლე. ბევრგან ამიკრძალავს ბიჭ-ბუჭების ნაჯღაბნი ლექსების თქმა და გიტარა ჩინგურზედ დამღერება. მეგონა მიზანს მივალწვედი და სიმართლეს აღვადგენდი, მაგრამ ყოველივე ცდამ ამაოდ ჩაიარა. ზოგიერთმა აღვირ წახსნილმა ყაჩაღებმა, რომელთაც სისხლის ღვრა, უმანკო იქნება ის თუ მანკიერი, ვაჟაკობათ და სასახელო საქმეთ მიაჩნიათ, იხელმძღვანელებს სოფლური ლექსებით და, ვითომ და გამცემი ჭელიძის ძმა, დიდათ პატიოსანი საზოგადოების თვალსაჩინო წევრი ფ. ჭელიძე, გამოსალმეს წუთი სოფელს, წაართვეს საზოგადოებას ერთი ჭკვიანი და მშრომელი ადამიანი. აი ასეთი სამწუხარო უბედურება მოჰყვა ქორიკანობას. ფ. ჭელიძის მოკლის შემდეგ, ყველამ თვალი გაახილა, ყველამ შეუდგა საქმის სინამდვილის გაგებას, მართლთაც აღადგინეს ეს სიმართლე, მაგრამ გვიანლა: „წამხდარსა საქმეს რას არგებს ბოლოსდა თითზედ კბენანი“. ყოველ შემთხვევაში სიმართლის აღდგენა მინც კარგი იყო, რადგან დანარჩენი წევრები ოჯახისა უზრუნველ ყოფილნი რჩებოდნენ, მაგრამ ამ დროს რა მოხათ?

მე მივიღე პატარა წიგნაკი „ყაჩაღები სოფლად“ ბ-ნი გურიანთელის მიერ შესწორებული, მისივე წინასიტყვაობით და დათიკოს სურათით. მოგახსენოთ, ძლიერ მესიამოვნა დათიკოს სურათის ნახვა, ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ გურიანთელის წინასიტყვაობამ, მაგრამ შავარდნაძის ლექსის, იმ ბიჭბუჭების შეთხზულის, წიგნაკად დაბეჭდვა, სიმართლე მოგახსენოთ, საქიროდ არ მიმანჩნია და აი რისთვის:

გურიანთელს, როგორც გურულ კაცს, უთუოდ კარგად ეცოდინება საერთოდ გურულების შეხედულება მოღალატე და გამცემ კაცზედ. მოღალატე კაცი, თუ გინდ ბოროტი ადამიანის დასამარცხებლად იყოს ეს ღალატი მომხდარი, საერთო გურულების შეხედულებით ზიზის, ფხვქვეშ გათვლის, ერთი სიტყვით, ყოველივე უბედურების ღირსია. იმას საღამო არ მიეცემა; იმას ღმერთიც სჯის და კაცი კი მოვალეა, რითაც შეუძლია დაამციროს,

არაფერში ენდოს და გაჭივრებაში ხელი არ მოუთბოს. ხშირად გაიგონებ ჩვენში „ეს და ეს კაცი სანდო არ არის“, რადგან ბაბუას ან პაპამის ღალატი ჩაუდენია“-ო.

ხალხის ამ გვარ შეხედულებას, რომ ანგარიში გაუწიოს, ყველა შეგნებული ადამიანია ვალდებული მეტადრე ასეთ დროს, როგორც ესლა არის და ამიტომ გურიანთელს კარგად უნდა შეემოწმებია ფაქტი დათიკოს მოკლისა, და ვილაც ბიჭ-ბუჭების ნაჯღაბნის გამოცემისთვის შემდეგ მოეკიდა ხელი. ყოველის ნათქვამის შემდეგ, ვგონებ საქირაა, რითიმე საქმის გასწორება, რომ ამ გვარი ყალბი შეხედულება საშვილისშვილოდ არ დარჩეს ხალხში და ცოტადნათ მანც მოერეცხოს ჩირქი ზემო აღნიშნულ პირებს, ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ თვითონ ბ-ნი გურიანთელი, ესლა მანც შეამოწმებდეს სისწორეს ლექსათ თქმულისა და ბეჭდვითი სიტყვით საქვეყნოდ აღიარებდეს სიმართლეს*).

უმორჩილესათ ესთხოვ სხვა რედაქციებსაც ეს ჩემი წერილი თუ მთლათ არა, შემოკლებით მინც გადაბეჭდონ თავიანთ გამოცემებში, და მით დახმარება გაგვიწიონ სიმართლის აღდგენაში და მის, (სიმართლის) ხალხში გავრცელებაში.

კიკია მამულაიშვილი.

წერილი რედაქციას.

ბ. რედაქტორო! პავლეშტა მიქენი მოციქულობა ლანჩხუთის ახალ მამასახლის დიმიტრი ცინცაძესთან, რომ ღმერთი რჯული მე ჩელა არ ვარ და მამასადამე მე მის უუუზალესათ არჩევაზე არაფერის დაწერა არ გამიბედავს. ერთი იმიტომ, რომ მეტს მაზედ რას დავსწერდი რაც დაწერილა და მეორეც მაზეთ მეტათ მის ამჩეველების შომერიდა. და აწი კი მეც ვეცდები და მანც ეცადოს რომ დასაწერი არაფერი არ მაშვინიოს.

შხანკოლა.

ვარწმუნებთ პატივცემულ დ. ცინცაძეს, რომ შხანკოლას არ ეკუთნის ის კორესპანდენცია, რაც მის არჩევაზედ დაიწერა ჩელას ფსევდონიმით.

„მათრახის რედაქცია.

* ჩვენ მივიღეთ ბ-ნი გურიანთელის განმარტებაამ წერილების შესახებ, რომელიც „ბათუმის გაზეთს“ არ დაუბეჭდილა თავის დროზედ და უადგილობის გამო ვერც ჩვენ ვბეჭდავთ. გურიანთელი არა ნაკლებ ბრალსა სდებს თვით ამ წერილის ავტორს და ყველა იმ პირთ, ვინც შავარდნაძის მოკლის ისტორია დაწერილებით იცოდნენ და მანამდე არავითარი საშუალება არ მიიღეს ბეჭდვითი სიტყვით, სანამ ეს ლექსი სახალხოთ არ გადაიტკეოდა. ის ამბობს, რომ მე დავბეჭდე შეემოწმებლათ ხალხური ლექსი, რადგან მისი სიყალბე არსად მსმენია და მამულაიშვილი კი მხოლოდ ჩემმა წინასიტყვაობამ აიძულა—გამოეჭვენებინა ეს სიმართლე, რადგან არც მასავით დევნილთა მოქმედებას ვამართლებდი.

„მათრ.“ რედ.



— გამიშვით ხელი „მუეციკო“! რას მეწიწებით?!
 რა ძალა მიგაქვთ თქვენი ფულით, თქვენი მიწებით!
 პასუხს არ მოგცემ, ტყვილად გულზე გაიდარწებით...
 (სულთან მაქვს საქმე, უკაცრავად, ნუ გამიწყრებით).

— ვერსად წაგვიხვალ, ხელში ვიგდეთ დღეს შენი კული,
 ნუ იმალები თუ კაცი ხარ, თუ გხურავს ქული;
 ეგ სიჩუმე ხომ—შენთვის უფრო ცუდია ცუდი!!!
 (ნუ თუ გგონია—მტყუანს მუდამ ამართლებს სული?!).

მა—ნი.

იყიდება გასული წლების იუმორისტული **ჟურნალები:**

- 1) ეშმაკის მათრახი—1908 წ. 34 ნომ. 2 მ. 50 კ.
- 2) მათრახ-სალამური 1909 „ „ „ 2—50 „

- 3) აღმანახები 1909 წ. 10 ნომერი — —50 „
 - 4) მათრახ-სალამური 1910 წ. 33 ნომ. 2—50 „
- ვისაც უდით სურს, თითო წოგნს მიემატება ფასი თითო მანეთი. მსურველებს პროვინციებშიაც გაეგზავნებათ ჩვენის ხარჯით.

მისამართი: თიფლისი, Типография Шрома Теофили Болквადзе.